**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# დამნაზე

დამნაზე, ლაზთა (ეგრისის) მეფე (Vს. II ნახ.–523), გუბაზ I-ის შვილი და წათე I-ის მამა.

ბიზანტიის საპირისპიროდ, ირანს ემხრობოდა. დ-ს გარდაცვალების შემდეგ მისმა ძემ, წათემ, უარყო მაზდეანობა, ქრისტიანობას ეზიარა და იუსტინე კეისრისაგან ხელდასმული დაჯდა ეგრისის სამეფო ტახტზე.

*წყარო:* იოანე მალალა, ქრონოგრაფია, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 3, ტფ., 1936.

***დ. ლეთოდიანი***